



შეფასების კრიტერიუმები



უნარები

- სივრცეში ორიენტირება;
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება;
- კომუნიკაცია;
- სწავლის უნარი;
- კვლევა;
- შემოქმედებითი უნარი;
- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია;
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა;
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა;
- თანამშრომლობა;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა;
- ტოლერანტობა;
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხს შორის კავშირების დადგენა;
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა.

ზოგადი კრიტერიუმები

- თემასთან შესაბამისობა;
- ორიგინალობა;
- მასალის და წყაროების გამოყენების უნარი;
- ინტერპრეტაციები;
- ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაცია და ლოგიკური განვითარება;
- ნაშრომი უნდა იყოს **PDF** ფორმატში. აუცილებელია, ტექსტს დაერთოს კონკურსანტის სახელი, გვარი, ასაკი ან კლასი, სკოლის დასახელება (ნომერი), მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, პედაგოგის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

საბაზო საფეხური

- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 12-14 წლის ასაკის მოსწავლეები.
- ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად. ჯგუფში შეიძლება იყოს მაქსიმუმ 3 მოსწავლე.
- ისტორიული მოთხრობა ანუ რეფერატი (1.000-1.500 სიტყვა);
- ფოტოკოლექცია (მაქსიმუმ 5 ფოტო);
- პოსტერი;
- ფოტოკოლექციას, პოსტერს უნდა ერთვოდეს აღწერა/კონცეფცია (მაქსიმუმ 400 სიტყვა).

რეფერატი

მოთხოვნები:

- თავფურცელი;
- შესავალი;
- ტექსტის ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები.

რეფერატის შეფასების 4 კრიტერიუმი

- **1.** რეფერატი დასათაურებულია, დაცულია სტილი (აქვს თავფურცელი, შესავალი და ა.შ.) და გამოყოფილია ქვესათაურები; მითითებულია გამოყენებული წყაროები - 2 ქ; რეფერატს აკლია სათაური, ან ქვესათაურებად დაყოფა ან არაა სრულყოფილად დაცული სტილი (აქვს თავფურცელი, შესავალი და ა.შ.) - 1 ქ.
- **2.** გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი წყარო (სტატიები ინტერნეტში, ვიდეო რგოლები, დიაგრამები, ცხოვრებისეული გამოცდილება) - 3 ქ; გამოყენებული აქვს მხოლოდ ერთი ან ორი წყარო. წყაროები არც ისე მრავალფეროვანია - 2 ქ; გამოყენებული აქვს მხოლოდ ერთი წყარო - 1 ქ.
- **3.** მსჯელობს შიდა და გარე პრობლემებზე, ასახელებს მიზეზებს, ასაბუთებს პოზიციას - 3 ქ; ნათლად არაა გამოკვეთილი პრობლემები, თუმცა დასახელებულია მიზეზები და გამოხატულია პოზიცია, მაგრამ არაა დასაბუთებული - 2 ქ. არასათანადოდ მსჯელობს შიდა და გარე პრობლემებზე, ვერ ასახელებს მიზეზებს, ვერ ასაბუთებს პოზიციას - 1 ქ.
- **4.** მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ აზრს - 2 ქ; ავტორის აზრი მკაფიოდ არაა გამოხატული - 1 ქ.

ფოტოკოლექციის შეფასების კრიტერიუმები

- ა) ფოტოკოლექცია სრულად პასუხობს სათაურს - 2 ქ; ფოტოკოლექცია ნაკლებად შეესაბამება სათაურს -1 ქ; სრულიად არ შეესაბამება - 0 ქ.
- ბ) პრობლემა ნათლად არის გადმოცემული - 2 ქ; პრობლემის გადმოცემას აკლია სიცხადე - 1 ქ; პრობლემა არ ჩანს - 0 ქ.
- გ) ფოტოები თანმიმდევრულად არის დახარისხებული - 2 ქ; ფოტოების დახარისხება ნაკლებად თანამიმდევრულია -1 ქ; ფოტოების თანამიმდევრულობა სრულიად აცდენილია კონცეფციას - 0 ქ.
- დ) დართული აქვს შესაბამისი კონცეფცია ანუ აღწერა - 2 ქ; კონცეფცია არასრულია - 1 ქ; არ აქვს დართული კონცეფცია - 0 ქ.
- ე) მასში გამოხატულია ფოტოკოლექციის თემა, არის მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ხედვა, შეფასება და დასკვნა - 2 ქ; აღწერაში გამოხატულია თემა, მაგრამ აკლია მსჯელობა - 1 ქ; ის არ შეესაბამება ფოტოკოლექციაში გადმოცემულ აზრს - 0 ქ.

პოსტერი/პლაკატის შეფასების კრიტერიუმები

- ა) პოსტერი პასუხობს სათაურს - 2 ქ; ნაკლებად შეესაბამება სათაურს - 1 ქ; სრულიად არ შეესაბამება - 0 ქ.
- ბ) ნათლად არის გამოკვეთილი პრობლემა - 2 ქ; პრობლემის გადმოცემას აკლია სიცხადე - 1 ქ; პრობლემა არ ჩანს - 0 ქ.
- გ) დაცული პოსტერის მოთხოვნები - 2 ქ; ნაკლებად არის დაცული - 1 ქ; საერთოდ არაა დაცული - 0 ქ.
- დ) დართული აქვს კონცეფცია ანუ აღწერა? - 2 ქ; კონცეფცია არასრულია -1 ქ; არ აქვს დართული კონცეფცია - 0 ქ.
- ე) მასში სრულყოფილადაა ასახული პრობლემის არსი, არის თანამიმდევრული მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, შეფასება და დასკვნა - 2 ქ; აღწერაში გამოხატულია თემა, მაგრამ აკლია მსჯელობა - 1 ქ. ის არ შეესაბამება ფოტოკოლექციაში გადმოცემულ აზრს - 0 ქ.

საშუალო საფეხური

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 15-18 წლის ასაკის მოსწავლეები.

ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად. ჯგუფში შეიძლება იყოს მაქსიმუმ 3 მოსწავლე.

- *ესე (2.000-3.000 სიტყვა);*
- *ფოტოკოლექცია (მაქსიმუმ 5 ფოტო);*
- *პოსტერი;*
- *ანიმაცია/მცირე ვიდეო (5-10 წუთი).*

ფოტოკოლექციას, პოსტერს და ანიმაციას/მცირე ვიდეოს უნდა ერთვოდეს აღწერა/კონცეფცია, მაქსიმუმ 600 სიტყვა.

ესე

- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

- შესავალში ნაჩვენებია, თუ რამდენად ესმის მას თემა, რა არის ესეის შეკითხვა - საკმაოდ საკითხის არსი და რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა, რა იქნება მოსწავლის მიზანი ამ ესეში - 3 ქ.
- შესავალში განხილულია თემა, მიზანი, მაგრამ არაა გამოკვეთილი მთავარი შეკითხვა - 2 ქ.
- შესავალში არასრულად არის განხილული თემა, მიზანი, არაა გამოკვეთილი მთავარი შეკითხვა -1 ქ.
- შესავალი არ პასუხობს მთავარ ნაწილს (ან ნაშრომს არ აქვს შესავალი) - 0 ქ.

ძირითადი ნაწილი

- I თეზისი - ფაქტები და მსჯელობები; (თუ ეს შესაძლებელია. რომ არგუმენტის გასამყარებლად მოსწავლემ ისტორიკოსთა შეხედულებები გამოიყენოს).

დანასკვი ანუ მინი-დასკვნა, შეჯამება - რისი თქმა სურდა მოსწავლეს ამ არგუმენტით? -1 ქ.

ძირითადი ნაწილი

- II თეზისი
- წყაროები - წყაროების მრავალფეროვნება, ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის წყაროები და მათი შეჯერება;
- წყაროები: ზეპირი ისტორიები, ინტერვიუები, მოგონებები, დღიურები, ოფიციალური და სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთების სტატიები, ამონარიდები ისტორიკოსთა მონოგრაფიებიდან, სახელმწიფო დოკუმენტები, ფოტოები, სამუზეუმო და საარქივო მასალები;
- დანასკვი ანუ მინი-დასკვნა, შეჯამება - რისი თქმა სურდა მოსწავლეს ამ არგუმენტით?- 1ქ.

ძირითადი ნაწილი

- III თეზისი: საკუთარი მსჯელობის განვითარება გამომდინარე პირველი და მეორე თეზისის დასკვნებიდან - 2 ქ;
- მსჯელობა არათანმიმდევრული ან არასრულია - 1 ქ;
- მსჯელობა არაა ლოგიკურად დაკავშირებული განსახილველ საკითხებთან - 0 ქ.

დასკვნა

- უნდა იყოს დაბალანსებული და არ უნდა დომინირებდეს ერთი მკვეთრი პოზიცია; უნდა იყოს წარმოდგენილი რამდენიმე ან ორივე ვერსია; უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ თემიდან - 3 ქ;
- დასკვნა არაა დაბალანსებული. შემოტანილია ახალი ფაქტები - 2 ქ;
- დასკვნაში წარმოდგენილი მსჯელობა ლოგიკურად არაა დაკავშირებული მთავარ ნაწილთან -1 ქ;
- ნაშრომს დასკვნა არ აქვს - 0 ქ.

ფოტოკოლექცია და პოსტერი

- საშუალო საფეხურზე კრიტერიუმები იგივეა, რაც საბაზო საფეხურზე;
- მოთხოვნები გაზრდილია.

ანიმაცია

- ა) ანიმაციის/მცირე ვიდეო პასუხობს სათაურს? - 2 ქ; სათაური ნაწილობრივ პასუხობს ვიდეოს შინაარსს - 1 ქ; არ პასუხობს - 0 ქ;
- ბ) რამდენად ნათლად არის გადმოცემული პრობლემა? - 2 ქ; პრობლემა არაა გამოკვეთილი -1 ქ; პრობლემა საერთოდ არ ჩანს - 0 ქ;
- გ) რამდენად თანამიმდევრულია მასში გადმოცემული სიუჟეტი? - 2 ქ; ნაწილობრივ თანამიმდევრულია - 1 ქ; ფრაგმენტულია და არა შეკრული - 0 ქ;
- დ) აქვს თუ არა დართული მკაფიო და სრული კონცეფცია? - 2 ქ. კონცეფცია არასრულია - 1 ქ. არ აქვს კონცეფცია - 0 ქ;
- ე) რამდენადაა ანიმაცია/მცირე ვიდეოში გამოხატული თემა, არის თუ არა მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ხედვა, შეფასება და დასკვნა? - 2 ქ; გამოხატულია თემა, მაგრამ არაა თანამიმდევრული მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ხედვა -1 ქ; ანიმაციაში არაა გამოკვეთილი თემა, არ ახლავს მჯელობა - 0 ქ.

გმადლობთ ყურადღებისთვის

